

სტუდენტთა I კავკასიოლოგიური კონფერენციის მასალები

PROCEEDINGS OF 1ST STUDENT CONFERENCE
OF CAUCASIAN STUDIES



МАТЕРИАЛЫ I СТУДЕНЧЕСКОЙ
КАВКАЗОВЕДЧЕСКОЙ КОНФЕРЕНЦИИ



თბილისი ❖ Tbilisi ❖ Тбилиси
20-21.VI.2022

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities
Educational-Scientific Institute of Caucasology



Тбилисский государственный университет имени Ивана Джавахишвили
Факультет гуманитарных наук
Учебно-научный институт кавказоведения

1ST STUDENT CONFERENCE OF CAUCASIAN STUDIES

P R O C E E D I N G S



I СТУДЕНЧЕСКАЯ КАВКАЗОВЕДЧЕСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ

М А Т Е Р И А Л Ы

Tbilisi ❖ Тбилиси
June 20-21, 2022 ❖ 20-21 июня 2022

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი



სტუდენტთა I კავკასიოლოგიური კონფერენცია

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი
20-21 ივნისი 2022

ISBN

ნინო ართილაყვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საბაკალავრო პროგრამა:

ქართული ფილოლოგია

მარიამ სეხნიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საბაკალავრო პროგრამა: ისტორია

მუკაჯირობა: ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა

საკვანძო სიტყვები: ჩერქეზები, მუკაჯირობა, უბიხები, ლიტერატურის ანალიზი

მუკაჯირობა არის პროცესი, რომელიც თითქმის მთელ კავკასიაზე აისახა. განვიხილავთ ამ მძიმე პერიოდს (XIX საუკუნე) როგორც ისტორიულ, ისე — ლიტერატურულ ჭრილში.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ტრაგიკული ვითარებისა, გადასახლებულმა ხალხებმა შეძლეს, რეაბილიტაციის დიდი გზა გაეგლოთ და იდენტობა შეენარჩუნებინათ სამშობლოსა თუ მის ფარგლებს გარეთ.

„მუკაჯირობა“ არაბული წარმომავლობის ტერმინია. მას აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: „ემიგრაცია“, „გაქცევა“, „გადასახლება“. მუკაჯირობამ, რასაკვირველია, გავლენა მოახდინა დემოგრაფიულ სიტუაციაზე რეგიონში. მუკაჯირობა უკავშირდება რუსეთ-ოსმალეთისა თუ კავკასიის ომების შემდგომ მასობრივ, იძულებით გადასახლებას, რომლის დროსაც მუკაჯირთა ნაწილი გზაში დაიღუპა.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ისტორიის ამ ეპოქაზე, რისთვისაც გამოვიყენებთ მოცემულ ნაშრომებს:

1. ირ. აბაშიძე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII, თბ., 1984;
2. მ. ლოხვიცკი (აჯუკ გირეი), „მეხთატეხა“, „ღმერთების ძიება“;
3. ბ. შინქუბა, „უკანასკნელი უბიხი“;
4. ს. ჭამბა, „ტანჯვის სიმღერა“;
5. ს. ჯანაშია, „ჩერქეზული დღიურები“.

ასევე შევხებით მუჰაჯირობის გავლენას ლიტერატურაზე წარმოდგენილი მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით.

სამწუხაროდ, ამ თემაზე შექმნილ ნაშრომებს ქართულ ენაზე ნაკლებად შევხვდებით, თუმცა ჩვენთვის ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი, საინტერესო და მრავლისმომცველია, რომ მასალების სიმწირეს ხელი არ შეუშლია საკვლევი თემის გააზრება-დამუშავებაში. მეტიც — მუჰაჯირობის პერიოდის შესწავლას მომავალში უფრო სიღრმისეულად ვაპირებთ.

მოხსენებაში გავანალიზებთ ასწლიანი ომის შემდგომ პერიოდს, მიმდინარე მოვლენებსა და შედეგებს ისტორიასა თუ ლიტერატურაში.

ელვირა ასლანოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
სადოქტორო პროგრამა:
ფილოლოგია (კავკასიოლოგია)

საქართველოში გავრცელებული აზერბაიჯანული ენის ფონეტიკური თავისებურების შესახებ

საკვანძო სიტყვები: აზერბაიჯანული ენა, ფონეტიკური თავისებურებები, ფონეტიკური პროცესები

მოხსენებაში ვისაუბრებთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული აზერბაიჯანული ენის დასავლური დიალექტის ფონეტიკურ თავისებურებათა შესახებ, შევეცდებით, მოგაწოდოთ აღნიშნული დიალექტის ფონეტიკური ნაირგვარობის აღწერის ცდა, რომელიც ჩემ მიერ შეგროვებულ ლინგვისტურ მასალას ეფუძნება. ემპირიული მასალა მოგროვებულია საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელთა მეტყველების მაგალითზე.

როგორც სინქრონულმა ანალიზმა, ისე აზერბაიჯანული ენის სხვა დიალექტებთან შედარებამ საშუალება მოგვცა, გამოგვევლინა და აღგვეწერა ზემოაღნიშნული დიალექტის ფონეტიკური თავისებურებები.

მოხსენებაში ვისაუბრებთ თანხმობებზე, რომლებიც აზერბაიჯანულმა სალიტერატურო ენამ დიდი ხანია, დაკარგა და არც სხვა დიალექტებშია შემორჩენილი, ასევე ბაგისმიერ სინჰარმონიზმზე და რიგ სხვა ფონეტიკურ პროცესებზე, რომლებიც ძალზე საინტერესო სურათს გვამლევს.

კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში გავრცელებულ აზერბაიჯანულ ენას გააჩნია ძალზე საინტერესო თავისებურებები, რომლებიც, პირველ რიგში, უნდა იყოს გამოწვეული სპეციფიკური თანხმობების ხმარებით.

ჩვენს მოხსენებაში გამოყოფილი ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება შეიძლება იყოს აღწერილი ასევე სხვა დიალექტშიც, მაგრამ შესაძლოა შეგვხვდეს ისეთი ფონეტიკური პროცესიც, რომელიც მხოლოდ დასავლური დიალექტისათვის არის დამახასიათებელი.

ლიტერატურა:

1. Axundov, A. (1973) Azərbaycan dilinin tarixi fonetikasi, Bakı: ADU;
2. Azərbaycan dilinin qərb qrupu dialekt və şivələri (1967), Bakı: Azərbaycan SSR EA nəşriyyatı;
3. Əzizov, E. (2016), Azərbaycan dilinin tarixi dialektologiyası, Bakı: Elm və Təhsil;
4. Şirəliyev, M. (2008), Azərbaycan dialektologiyasının əsasları, Bakı: Şərq-Qərb;
5. Гаджиева, Н. З. (1979), Тюркоязычные ареалы Кавказа, Москва: Наука;
6. Джангидзе, В. Т. (1965), Дманисский говор казахского диалекта азербайджанского языка, Баку: Изд-во АН Азербайджанской ССР.

ლენა ბაღდადიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საბაკალავრო პროგრამა: კავკასიოლოგია

ჰაიკის — სომხეთის ისტორიის მთავარი გმირის — მითოლოგიური სახე და მისი აჯანყება ბელის წინააღმდეგ

საკვანძო სიტყვები: ჰაიკის ისტორია, ჰაიკის ლეგენდა, ბრძოლა სინათლესა და სიბნელეს შორის

ღვთაებრივი მშვილდოსნის უნივერსალური მითი სომხურ მითოლოგიაში ასოცირდება ასტრალური გმირის — ჰაიკის — სახელთან, რომელიც, ალბათ, თავდაპირველად იყო ჰაიას ტომობრივი ღვთაება და მოგვიანო გადმოცემებში გადაიქცა სომხების საერთო წინაპრად. იგი იბრძოდა პირქუში დესპოტის, ბაბილონური ტიტანიდი ბელის წინააღმდეგ, რომელიც ცისა და მზის სემიტური ღმერთია და იბრძვის როგორც ჰაიკის, ისე მისი ქვეყნისა და ერის წინააღმდეგ.

გადმოცემამ შეინარჩუნა თავდაპირველი მითოლოგიური ხასიათი, მაგრამ ის ასევე დაკავშირებული იყო სომეხი ხალხის საწყის ისტორიასთან. ამგვარად, ძველმა კოსმიურმა მითმა შეიძინა სოციალურ-ისტორიული შინაარსი. კოსმოსური ბრძოლა სინათლესა და სიბნელეს შორის მითოლოგიურ გადმოცემაში გარდაიქმნა სომხური ტომების სოციალურ-ეთნიკურ ბრძოლად ბაბილონელი დესპოტი ბელის აგრესიული და ასიმილაციური მისწრაფებების წინააღმდეგ.

მოხსენებაში ვისაუბრებ ჰაიკის თვისებებსა და ქვეყნისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ, ასევე სხვა ქვეყნების აგრესიულ დამოკიდებულებაზე იმ დროს სომხეთთან, კერძოდ — სომეხ ხალხთან და მათ ტერიტორიებთან.

დიდი ყურადღება დაეთმობა მოვსეს ხორენაცის ნაშრომს „სომხეთის ისტორია“ (სხვა სახელწოდებებით: „ჰაიკის ისტორია“, „ჰაიკის ლეგენდა“). გავაანალიზებ მისი შედგენის პრინციპებსა და მიზნებს, როგორ გამოხატავს მოვსეს ხორენაცი თავის ისტორიულ ლეგენდებში ამა თუ იმ საკითხისადმი დამოკიდებულებას და რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს მითოლოგიური გმირი იმ დროს. ხაზგასმით ვისაუბრებ იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჰაიკი სომხეთის ისტორიაში და რა როლი ენიჭება დღეს მის სახელს.

ჩვენი აზრით, ეს თემა აქტუალურია, რადგან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველი ქვეყნის ისტორიის წარსულს, თუ ვინ იყო მათი გმირი და რა გააკეთა მან ქვეყნისთვის. მოხსენებაში დავინახავთ, რომ მან შეძლო ბაბილონური ტყვეობიდან გაენტავისუფლებინა საკუთარი ერი და სანამ მის ხელში იყო ქვეყნის ბედი, იგი ყოველნაირად იცავდა სამშობლოს.

კონსტანტინე ბერაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საბაკალავრო პროგრამა: კავკასიოლოგია

ოკუპირებული აფხაზეთის ბაღისა და ტყვარჩელის რაიონების მთიან რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის რელიგიური შეხედულებები (სოციოლოგიური კვლევა)

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, რელიგია, სოციოლოგიური კვლევა

აფხაზეთის მოსახლეობის რელიგიური რწმენა-წარმოდგენების თემა ძალზე აქტუალურია, რადგან ჩვენ არ გვაქვს წვდომა ოკუპირებულ რეგიონში არსებულ შიდა მდგომარეობაზე. არანაირი სოციოლოგიური კვლევა სავსე პირობებში არ ტარდება და ეს არ ეხება მართლ რელიგიის თემას. სწორედ ამიტომ გამიჩნდა სურვილი, რომ ჩამეტარებინა კვლევა, სადაც წარმოვაჩინდი თანამედროვე მდგომარეობას, რაც, ვფიქრობ, საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ესტიმაციური კვლევის დროს გავითვალისწინეთ მოსახლეობის ასაკობრივი დიფერენცირება (ყველაზე მცირე ასაკი — 16 წელი და ყველაზე უფროსი — 82 წელი). კვლევა ჩატარებულია კონფიდენციალურობის სრული დაცვით, რაც რეგიონში არსებული თანამედროვე მდგომარეობის გამო აუცილებელი პირობაა.

გოგონა (16 წლის): „დედაჩემს ყოველთვის დავყავარ ეკლესიაში, როცა რაღაც დღესასწაული მოდის. ძალიან შორია გზაა სოფლამდე ჩასასვლელად გასავლელი, მაგრამ ამას არც ერთხელ არ შეუშლია ჩვენთვის ხელი. ის ყოველთვის ლოცულობს ჩვენი წინაპრების სახელის მოსახსენიებლად და მეც ამას ვაკეთებ. სიმართლე გითხრა, ჯერ ეს ყველაფერი ბოლომდე გააზრებული არ მაქვს, მაგრამ რადგან დედაჩემი აკეთებს. მგონია, რომ ის მართალია. ჩემი ოჯახი თავს ქრისტიანად თვლის და შესაბამისად მეც ქრისტიანი ვარ, ყოველ შემთხვევაში — მინდა, რომ ვიყო...“

მამაკაცი (30 წლის): „კაი რა, შენც ხო იცი, აქ რა სიტუაციაა, ახლა ლოცვისთვის არავის არ სცალია, ან თუ სცალიათ, მაშინ ძალიან გაუმართლათ ამ ცხოვრებაში. მე ომს არ მოვსწრებვარ, მაგრამ უფროსებისგან რაც გამიგია, აი, მაგ ამბების შემდეგ

დავრწმუნდი, რომ ღმერთი არ არსებობს, ან თუ არსებობს, ჩვენთვის საერთოდ ვერ იცლის (გაელიმა). აქ იმდენი პრობლემაა ყოველდღიურობაში, რთულია, კაცმა ლოცვისთვის მოიცალო, თან ისეთი ცხოვრება დადგა, თავი როგორ გავიტანოთ, მაგაზე გვიწევს ყოველდღე ფიქრი და ამ ყველაფერში ღმერთი რატომღაც არ გვეხმარება, თუ არსებობს...”

ქალი (59 წლის): „როცა ჩემი სახლიდან გამომავდეს და შუბლზე თოფის ლულა მომადეს, პირველად მაშინ დავიწყე ლოცვა. ჩემი მშობლების თვალწინ მიპირებდნენ დახვრეტას. იმ მომენტიდან მხოლოდ დედის კვილი მახსოვს, რომ ჩემ მაგივრად ის მოეკლათ. მთელი ბავშვობა კი ვხედავდი, როგორ ლოცულობდა ბებია და სანთელს ანთებდა, მაგრამ დიდად სურვილი არასდროს გამჩენია. წყეული ომი, რომელსაც დღემდე ვერ ვივიწყებ. ყველას ცხოვრება გაგვინადგურა. ვლოცულობ და იმედი მაქვს, რომ ჩემი შვილიშვილები მაინც მოესწრებიან უღრუბლო ზეცას“.

მამაკაცი (65 წლის): „აქ, მთაში, გინდა თუ არა, ისეთი სიმშვიდეა, რომ თვით ბუნებაა ყველაფრის შემოქმედი. მე მწამს ჩემი მშობლების, რომლებმაც გამაჩინეს, სიცოცხლე მაჩუქეს. ბარში სხვანაირადაა ყველაფერი, აქ უბრალოდ სიმშვიდეა, წინაპრების საფლავები სახლთან ახლოს გვაქვს და სულ მგონია, რომ სადღაც აქვე არიან ისინი. ეჰ, კარგი იქნებოდა ომიანობის გარეშე ცხოვრება, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ნატურის ახდენას მე ვერ მოვესწრები...“

მამაკაცი (82 წლის): „82 წლის კაცი ვარ, ქართულ წირვასაც მოვესწარი, მაგრამ საბჭოთა კავშირის შემოსვლასთან ერთად ეკლესიები დაიხურა. აქ, მთაში, შედარებით ნაკლებად იგრძნობოდა გავლენა, რადგან ჩვენ ოდითგანვე ტრადიციული ხალხი ვიყავით და ვართ კიდევაც. მე უკვე მალე წავალ ჩემ წინაპრებთან, მაგრამ აწეული თავით, რადგან მე მათი გზა გავაგრძელე და იმედია, ჩემი შვილი და შვილიშვილებიც არ დაკარგავენ იმას, რაც ძველებმა დაგვიტოვეს.“

შეგვიძლია ვთქვათ, რომ აშკარაა, თუ რაოდენ დიდ ზიანს აყენებს გადატანილი ტრავმა, ამ შემთხვევაში — ომი, ადამიანთა რწმენა-წარმოდგენებს, მაგრამ ეს ყველასთან ინდივიდუალურად ვლინდება. თუ ერთ ადამიანს უჩნდება ლოცვის სურვილი, ღმერთთან სიახლოვის გრძნობა, რათა მის შვილებსა და შვილიშვილებს აღარ მოუწიოთ იმ რეალობის გამოვლა, რაც თავად გამოიარეს, პარალელურად ზოგი ადამიანი თვლის, რომ ღმერთი არ არსებობს, რადგან მათ ძალიან ბევრი სიმწარე აქვთ ნანახი და ვერ აკავშირებენ ამ ყველაფერს ღმერთთან. ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის აღმსარებლობას. როგორც ზემოთ 16 წლის გოგონას მაგალითს გავეცანით, ის ჯერ საერთოდ ვერ იაზრებს, რა არის ქრისტიანობა, ან რაშია მისი ჭეშმარიტება, მაგრამ რადგანაც მისი ოჯახი ქრისტიანია, რადგან ხედავს, როგორ ლოცულობენ მისი მშობლები, თავადაც სურვილი უჩნდება, მიჰყვეს ამ აღმსარებლობას.

საბოლოო ჯამში, ასაკობრივი გრადაციის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ მთიან რეგიონში უფროსი თაობა ტრადიციულ ინსტიტუტებს აყენებს პირველ ადგილას. არის ასევე წარმართული ელემენტებიც, მაგრამ — ძალიან მცირე. ყველაზე მკაფიოდ კი ომის გავლენა ჩანს ადამიანების რწმენა-წარმოდგენებზე.

ნინო გოგალაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საბაკალავრო პროგრამა:
ინგლისური ფილოლოგია

ლანა გიორგაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საბაკალავრო პროგრამა:
ინგლისური ფილოლოგია

ქალღმერთი „დიდი დედა“ კავკასიურ მითოლოგიაში

საკვანძო სიტყვები: მითოლოგია, კავკასია, ქალღმერთი, „დიდი დედა“

მოხსენების მთავარი მიზანია „დიდი დედის“ კულტის მნიშვნელობის განხილვა კავკასიურ მითოლოგიაში. გაანალიზებულია ამ კულტის უძველესი არტეფაქტები და მისი ანალოგები სხვადასხვა ქვეყნის კულტურიდან.

ქალღმერთი „დიდი დედა“ ის ღვთაებაა მითოლოგიაში, რომელიც თითქმის ყველა ხალხის მითოსური აზროვნების ნაყოფია. ზოგადად, ქალღმერთის კულტი უნივერსალურობით გამოირჩევა, გამომდინარე იქიდან, რომ ის იყო ერთ-ერთი უძველესი მითოლოგიური არსება, რომელიც ადამიანს შეუქმნია. სახელი „დიდი დედაც“ სწორედ მის პირველობასა და ერთგვარ საწყისობაზე მიუთითებს, რადგან ოდითგანვე ის გახლდათ ყველაფრის მფარველი. აღსანიშნავია ისიც, რომ დანარჩენი ღვთაებები მიჩნეულნი არიან მის დანაყოფებად.

„დიდი დედის“ კულტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესო ფენომენია კავკასიურ მითოლოგიაში. კავკასიაში უამრავი არტეფაქტი, ფოლკლორული მასალა თუ არქეოლოგიური წყაროა შემორჩენილი, რითაც დასტურდება მისი არსებობა.

მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ გარდა კავკასიისა, აღნიშნული მითოლოგიური ფიგურა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში გვხვდება. ხშირად მათი სახელწოდებები განსხვავებულია, თუმცა მნიშვნელობა და შინაარსი ყველგან მსგავსი აქვს.

ამგვარად, მოხსენებაში მიმოვიხილავთ „დიდი დედის“ ანალოგებს, რომლებიც სხვადასხვა კულტურაში, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში იყო გავრცელებული.

შესაბამისად, შედარებითი ანალიზის საფუძველზე განვიხილავთ „დიდი დედის“ ფენომენს უფრო ფართო მასშტაბითაც, რაც უფრო თვალსაჩინოს გახდის ამ ქალღმერთის როლს, დანიშნულებასა და მის მნიშვნელობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოხსენებაში ვიმსჯელებთ „დიდი დედის“, როგორც მითოლოგიური პერსონაჟის, შესახებ. გავანალიზებთ მისი გავრცელების და პოპულარიზაციის მიზეზებს, თუ რამ განაპირობა მისი ამ მნიშვნელობით ჩამოყალიბება და გავრცელება არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ — სხვა კულტურის ხალხებს შორისაც.

ლიტერატურა:

1. სიხარულიძე ქ., კავკასიური მითოლოგია, თბილისი: კავკასიური სახლი, 2006, 255 გვ., ISBN: 9992871938.

2. ფხალაძე თ., კოლხური ქალღმერთი ფასიანე — „დიდი დედის“ პანევროპული კულტი // ინტერმედია, 2019: <https://intermedia.ge/სტატია/117549-კოლხური-ქალღმერთი-ფასიანე-დიდი-დედის-პანევროპული-კულტი/89/?fbclid=IwAR3tKsfc6CPrfWZCnzSGShvlulR0le4Re9I4QjE0WMTLmIt2mCjgi2wbm0>

3. Stella Karageorgi, Ph.D. The Divine Feminine: 8 Ancient Forms of the Great Mother Goddess // The Collector, 2022: https://www.thecollector.com/divine-feminine-ancient-art/?fbclid=IwAR03_it7F12oXw6lIP7MiPac6fDIvcyiULZia_bhZBCAwDxkvHqiXSUKEQ

სოფიკო დრიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საბაკალავრო პროგრამა:
ქართული ფილოლოგია

ფოლკლორული მოტივები ნაფი ჯუსოითის პოეზიაში

საკვანძო სიტყვები: ფოლკლორი, ოსური ლიტერატურა, ნაფი ჯუსოითი

ქართულ-ოსურ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობებში თვალსაჩინო ადგილი უკავია ოს მწერალსა და მეცნიერს, ნაფი ჯუსოითს. ის იყო მრავალმხრივი მოღვაწე: პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელი.

ნაფი ჯუსოითი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, კოსტა ხეთაგუროვის სახელობის პრემიის ლაურეატი. მან შექმნა მონოგრაფიები ოს კლასიკოს მწერალთა შემოქმედების შესახებ.

ნაფი ჯუსოითი ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ოსი პოეტია. იგი ავტორია ათეულობით პოეტური კრებულისა, რომანისა და სხვადასხვა ჟანრის პროზაული თხზულებისა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ნაფი ჯუსოითის მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მან შესანიშნავად თარგმნა დავით გურამიშვილის „დავითიანი“, აკაკი წერეთლის, გიორგი ლეონიძისა და სხვა ქართველ მწერალთა უკვდავი ნაწარმოებები.

ნაფი ჯუსოითის ლექსები არაერთხელ დაიბეჭდა ქართულ ენაზეც. 2014 წელს თბილისში გამოიცა მისი ლექსების კრებული ქართულ და ოსურ ენებზე: „მთები — აკვანი ჩემი“. ქართულ-ოსურ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობებში მძლავრ და საფუძვლიან ნაკადს სწორედ ნაფი ჯუსოითის შემოქმედება წარმოადგენს.

როგორც პოეტი, ნაფი ჯუსოითი მემკვიდრეა მრავალსაუკუნოვანი ოსური ფოლკლორისა, რომელიც მკითხველს დღემდე აოცებს თავისი სიღრმითა და სიბრძნით. ამასთანავე, ნაფის პოეზია ღირსეული მემკვიდრეა ოსური კლასიკური ლექსისა, რომელიც სათავეს იღებს თემირბოლათ მამსუროვისა და კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედებიდან.

ნაფი ჯუსოითის შემოქმედებაში აისახა ოსური წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, რადგან ალან-ოსების კულტურული იდენტობის, ხანგრძლივი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და მხატვრული აზროვნების გამოხატვის ერთადერთ საშუალებას XX საუკუნემდე ფოლკლორული შემოქმედება წარმოადგენდა. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები ოსები აგრძელებდნენ ყოველდღიურ ცხოვრებას მითოსის დაუწერელი კანონებით, რომლებიც ეფუძნებოდა მითოლოგიურ არქეტიპებსა და საკრალურ ზეპირ გადმოცემებს.

ნაფი ჯუსოითის ლექსებში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ალუზიები და პოეტური რემინისცენციები ოსური ნართების ეპოსიდან. პოეტის ლექსებში ნახსენები არიან ნართების ეპოსის პერსონაჟები: ბათრაძი, ბიცენონი, ვარხაგი — რომლებიც გმირობის, ვაჟკაცობის, სილამაზისა და სიკეთის ეტალონებს წარმოადგენენ.

მოხსენებაში განხილული იქნება ფოლკლორული მოტივების ასახვის თავისებურება ნაფი ჯუსოითის შემოქმედებაში.

ელენე ივანოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საბაკალავრო პროგრამა: კავკასიოლოგია

ეკომიგრანტები — სვანები

საკვანძო სიტყვები: სვანები, სტიქიური უბედურებები, ეკომიგრაცია

ეკომიგრაცია იქცა საკმაოდ აქტუალურ თემად გამოკვლევებისათვის ბოლო ათწლეულების განმავლობაში. ეკოლოგიური პრობლემები საკმაოდ მკვეთრად აისახა თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაზე. სტატისტიკაზე დაყრდნობით, ბოლო 30 წლის განმავლობაში სტიქიური მოვლენების მაჩვენებელმა აიწია 600-მდე, ხოლო დაზარალებულების მაჩვენებელმა — 200 მილიონამდე.

კავკასიაში ეს პრობლემა არანაკლებ აქტუალურია. სტიქიური მოვლენების შემდგომ დაზარალებული სვანები დღესდღეობით განსახლდნენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე: იმერეთში, ქვემო ქართლში, კახეთში.

მოხსენებაში განვიხილავთ, თუ რამდენად აქტუალური ხდება ეკომიგრანტების პრობლემა კერძოდ კავკასიის რეგიონში და ვისაუბრებთ სავარაუდო პროგნოზებზე.

ლიკა ლოლაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი,
სამაგისტრო პროგრამა:
რეგიონული კვლევები (კავკასიის კვლევები)

ქალის უფლებები ადილე ხაბზე და დადესტნურ ადათობრივ სამართალში

საკვანძო სიტყვები: კავკასიური ეტიკეტი, ადილე ხაბზე, ქალის უფლებები, წეს-ჩვეულება, ჩერქეზები, მორალურ-ეთიკური კოდექსი

ქალის უფლებების კვლევა თანამედროვე სამყაროსთვის, შეიძლება ითქვას, უცხო აღარ არის. მიუხედავად იმისა, რომ აგნოდიკეს ისტორიის მიხედვით, ქალების უფლებების დაცვა უძველესი დროიდან იღებს სათავეს (იხ. <https://classicalwisdom.com/people/agnodice-first-female-physician-maybe/> 18.05.2022), საკითხი აქტუალობას დღემდე არ კარგავს. ნაცვლად იმისა, რომ ამ თემის მიმართ ინტერესი განელეზულიყო, იგი სულ უფრო და უფრო იზრდება.

თანამედროვე გამოწვევები ხშირად უპირისპირდება ტრადიციებს. კავკასია კი ძირითადად ტრადიციული საზოგადოებისაგან შედგება. შესაბამისად, კიდევ უფრო აქტუალურია ასეთი ტიპის საზოგადოებაში ქალის უფლებების, ავტორიტეტისა და ტრადიციული როლის განსაზღვრა, რათა ამ საკითხის ირგვლივ გამოიკვეთოს მიზეზები და არსებული გამოწვევები.

ადამიანების სტერეოტიპული ქცევის თავისებურებათა შესწავლისას აუცილებელია, გავითვალისწინოთ მოცემულ კულტურულ არეალში ეტიკეტურ-რიტუალური სფეროს განვითარების სპეციფიკა. აღსანიშნავია, რომ კავკასიელებში ეთნიკური კულტურის რიტუალურ-ეტიკეტური მიმართულების განვითარება მორალურ-ზნეობრივი ნორმების შესახებ ადგილობრივი წარმოდგენების კონტექსტში მიმდინარეობდა [ანთელავა 2018].

მოხსენებაში შევეცდებით, ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს: რა უფლებები ჰქონდა ქალს ტრადიციულ კავკასიურ საზოგადოებაში? როგორი იყო ქალის მიმართ დამოკიდებულება? რა გამოძახილს ჰპოვებს დღევანდელობაში ნორმატიული კულტურის არანორმატიულში გადასვლა? რა სახის ცვლილებები მიმდინარეობს ყოფაცხოვრებაში და რატომ ძნელდება სიახლეების მიღება?

კავკასიაში ქალთან (და არა მხოლოდ ქალთან) მიმართებით პარადოქსულ მოვლენებს ვხვდებით: აქ შეიძლება შეხვდეთ ერთი მოვლენის ორ რადიკალურ მხარეს ერთდროულად, როგორც ქალისთვის მინიჭებულ უჩვეულო თავისუფლებას, აგრეთვე — ქალის მიმართ მკაცრ და, რიგ შემთხვევებში, სასტიკ მოპყრობას. სწორედ ასეთი პარადოქსული მოვლენების მიზეზების ახსნას შევეცდებით მოხსენებაში.

ქალის როგორც ემმაკეულ არსებად შერაცხვა, ისე მისი გაღმერთება დაკაბალების ფორმებია (დ. დავლიანიძე), რადგან ორივე ეს ხატი ქალს უსჯის, თავს ახვევს რაღაც სტანდარტს და არ აძლევს მას უფლებას, იყოს ის, რაც არის, ანუ იყოს ბუნებრივი ადამიანი თავისი ინდივიდუალურობითა და პიროვნული მახასიათებლების გამოხატულებით [ანთელავა 2019].

შესამჩნევია, რომ მსგავსი ტიპის სტანდარტიზება კავკასიურ ხალხურ საზოგადოებაში არა მხოლოდ ქალისთვის, არამედ მამაკაცისთვისაც არსებობდა.

მოხსენებაში ქალის უფლებებს განვიხილავთ ძირითადად ჩერქეზული მორალურ-ეთიკური კოდექსის — ადილე ხაბზესა და დალესტნური ადათობრივი სამართლის მაგალითზე. ჩერქეზეთი არის კავკასიის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი, კავკასიის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს კი დალესტანი წარმოადგენს. ჩერქეზეთს გამოარჩევს ადილე ხაბზე — მორალურ-ადათობრივი ეთიკური კოდექსი, ხოლო დალესტანს — თავისი მრავალფეროვნება. ვფიქრობთ, კავკასიის ამ ორი უკიდურესი ნაწილის საქართველოსთან შედარება მეტ-ნაკლებად დაგვიხატავს კავკასიის მთლიან სურათს.

ლიტერატურა:

1. ანთელავა 2018 — ანთელავა, ნუგზარ (რედ.). კავკასიური ეტიკეტი. ეთნოლოგიური ეტიუდები. თბილისი: კავკასიური სახლი;
2. ანთელავა 2019 — ანთელავა, ნუგზარ. ქალი და მამაკაცი კავკასიურ ტრადიციაში. თბილისი: კავკასიური სახლი

სალომე მაისურაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საბაკალავრო პროგრამა:
ინგლისური ფილოლოგია

ბასკები და ქართველები: საერთო წარმომავლობა თუ ჰიპოთეზა?

საკვანძო სიტყვები: ბასკები, ქართველები, იბერია, იბერები, ეტიმოლოგია, ბასკური ენა, კავკასიური ენები

უძველეს ისტორიულ წყაროებში არაერთგზის ვხვდებით ინფორმაციას პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები იბერიელების შესახებ. ბერძენი და რომაელი ისტორიკოსებისთვის ასევე უცხო არ იყო ქართლის იბერიის არსებობა. საინტერესოა, არსებობს თუ არა მიმართება პირენეის იბერებსა და ქართველებს შორის, თუ სახელდება მხოლოდ შემთხვევითობას უკავშირდება?

პირენეის ნახევარკუნძულზე დღემდე სახლობენ ბასკები, რომლებმაც შეინარჩუნეს თვითმყოფადი კულტურა და ენა. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ბასკურ ენას კავშირი აქვს კავკასიურ ენებთან. არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული ბასკებსა და ქართველებს შორის ნათესაობის შესახებ. მოხსენების ფარგლებში შევეცდებით, განვიხილოთ ამ საკითხის გარშემო არსებული შეხედულებები, ასევე ვეცდებით, წარმოგიდგინოთ ბასკებისა და ქართველების ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ მასალა, რომელშიც შეიძლება, საერთო მიმართებები დავინახოთ.

ნიგინა მამადნოსიროვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საბაკალავრო პროგრამა: კავკასიოლოგია

ხალხური ზღაპრები და მათი პოპულარიზაციის აუცილებლობა

საკვანძო სიტყვები: ზღაპრები, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, პოპულარიზაცია

ზღაპრები ნებისმიერი ხალხის კულტურის განუყოფელი ნაწილია ყველა ერისათვის. გართობის გარდა, მათი მიზანია, უკეთესი წარმოდგენა შეგვექმნას იმ ერის ყოფაზე, რომელმაც ისინი შექმნა. ზღაპრის კითხვას რიტუალური მნიშვნელობაც აქვს, რადგან მას მოჰყვება პირობითი ქმედება, მაგალითად, ძილის წინ ბავშვისთვის წაკითხვა.

ზღაპრების შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან ისინი შეადგენენ საგამანანათლებლო პროცესის ნაწილს და ასევე მონაწილეობენ ადამიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

დღეს ხალხური ზღაპრები კარგავს ძველ პოპულარობას. ერთი მხრივ, ეს გარდაუვალი პროცესია, რადგან კაცობრიობა აქტიური გლობალიზაციის ფაზაშია. მეორე მხრივ, უნდა ვეცადოთ იდენტობის შენარჩუნებას.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება მიზეზები, რომლებიც იწვევს ზღაპრის დეპოპულარიზაციას და მეთოდები, რომლებიც დაგვეხმარება მოზარდების ხალხური შემოქმედებით დაინტერესებაში.

ირაკლი მახათაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საბაკალავრო პროგრამა:
ქართული ფილოლოგია

აბო თბილელის გადასვლა აფხაზეთში იოანე საბანისძის ჰაგიოგრაფიული თხზულების მიხედვით: მიზეზი, მნიშვნელობა

საკვანძო სიტყვები: აბო თბილელი, ნერსე ერისთავი, აფხაზეთი

იოანე საბანისძე ავტორია ჰაგიოგრაფიული თხზულებისა „აბო თბილელის წამება“, რომელიც მოგვითხრობს არაბი აბოს ქართლში მოსვლის, გაქრისტიანებისა და სიკვდილით დასჯის შესახებ. ეს თხზულება VIII საუკუნის საქართველოს მატეანედაც შეგვიძლია მივიჩნიოთ.

იოანე საბანისძის მიერ დაწერილ თხზულებაში საინტერესოა აბოს აფხაზეთში გადასვლის ეპიზოდი; ვიგებთ, თუ როგორი მდგომარეობა იყო იქ პოლიტიკური და, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური თვალსაზრისით. აი, რას ვკითხულობთ თხზულებაში: „და ნეტარი ჰაბო უფროდსდა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანად იგი სავსე ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვდრად იპოვების საზღვართა მათთან“. ასე რომ, VIII საუკუნეში აფხაზეთი ქრისტიანული მხარე ყოფილა და იგი არაბთა გავლენას ნაკლებად განიცდიდა.

მოხსენებაში განვიხილავთ, რატომ და ვისთან ერთად გადავიდა აბო აფხაზეთში, როგორ მიიღო იგი მთავარმა, რა ვითარებაა აფხაზეთში რელიგიური და პოლიტიკური თვალსაზრისით, რა მნიშვნელობა აქვს თხზულების ამ მონაკვეთს აფხაზეთის აღწერა-დახასიათებისთვის.

ლიზი მურადაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საბაკალავრო პროგრამა: ისტორია

ნინო ძამნაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საბაკალავრო პროგრამა: ისტორია

საქართველო-რუსეთის პირველი დიპლომატიური ურთიერთობები (XV-XVI სს.)

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, საქართველო, დიპლომატიური ურთიერთობები, „წყალობის სიგელი“

XV-XVI საუკუნეები საქართველოსთვის მეტად მძიმე პროცესებთან ასოცირდება. ეს ის პერიოდია, როდესაც კავკასიას ორი უდიდესი იმპერია ეპოტინება. ერთი მხრივ, ოსმალეთი და, მეორე მხრივ, ირანი ცდილობენ პოლიტიკური ჰეგემონობის მოპოვებას სამხრეთ კავკასიაში და განსაკუთრებით — საქართველოში. საქართველო კი ცდილობს, იპოვოს გამოსავალი, ნახოს გზა, რომ გადარჩეს და განაგრძოს არსებობა.

სწორედ ამ პერიოდში გამოდის საგარეო ასპარეზზე რუსეთი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული, თუმცა ქართლ-კახეთი მაინც იმედოვნებდა, რომ ქრისტიანულ სახელმწიფოსთან კავშირი მას დაეხმარებოდა ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ.

თავის მხრივ, რუსეთიც ცდილობდა მოკავშირეების მონახვას კავკასიაში ოსმალეთის წინააღმდეგ. ამის საუკეთესო ვარიანტი იყო ქართლ-კახეთი. როგორც ვხედავთ, ამ ურთიერთობების დაწყებას ორმხრივი ინტერესი ჰქონდა და ეს გამოიხატა 1483 წელს. ის ითვლება ქართულ ისტორიოგრაფიაში რუსეთთან პირველი დიპლომატიური ურთიერთობის დაწყების თარიღად. კახეთის მეფე ალექსანდრე I აგზავნის ელჩებს რუსეთის მეფე ივანე III-სთან, თუმცა ამ ელჩობამ შედეგი ვერ მოიტანა. ამას ჰქონდა თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. ჩვენი აზრით, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მოსკოვი ჯერ კიდევ სუსტი სახელმწიფო იყო, მან

უბრალოდ გაითავისუფლა თავი მონღოლ-თათართა ბატონობისაგან და კავკასიაში ის არ წარმოადგენდა ძლიერ ძალას.

მიუხედავად ელჩობის წარუმატებლობისა, ამ ურთიერთობებმა თავისი გაგრძელება ჰპოვა XVI საუკუნის 50-იან წლებში. დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის ინიციატორად კახეთის მეფე ლევანი გამოვიდა. მან ამჯერად უკვე რუსეთის მეფე ივანე IV-ს მიმართა დახმარებისა და მუსლიმების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის თხოვნით, რის საპასუხოდაც რუსეთის მეფემ გამოჰყო 500 მეომრისაგან შემდგარი დამხმარე რაზმი, რომელიც განთავსდა დაღესტანთან მოსაზღვრე ქართულ ციხე-სიმაგრეებში. მაგრამ შემდგომში, სპარსეთის შაჰის პროტესტის შედეგად, 1572 წელს ეს რაზმი გაყვანილი იქნა უკან რუსეთში.

1585 წელს ახალი ეტაპი იწყება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში. რუსეთის მეფე თეოდორემ ალექსანდრე კახთა მეფეს თავისი ელჩის, დანილოვის, ხელით სიგელი გამოუგზავნა. რუსეთის მეფე კავშირსა და მფარველობას სთავაზობდა კახეთს. მაშინდელ ვითარებაში ალექსანდრე II-ს ეს ყველაფერი საუკეთესო შესაძლებლობად ეჩვენა. მეფემ მოითათბირა და დანილოვს საპასუხო ელჩობა გააყოლა. 1589 წელს ალექსანდრემ ერთგულების ფიცი დადო, მაგრამ სანაცვლოდ ვერაფერი მიიღო დაუსრულებელი ელჩობებისა და რამდენიმე სასულიერო პირის გამოგზავნის გარდა.

მიუხედავად წარუმატებელი ელჩობებისა, შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ეს იყო რუსეთ-საქართველოს ისტორიაში პირველი დიპლომატიური ურთიერთობების დასაწყისი. ეს იყო დრო, როცა საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა, ქართველი მესვეურები კი ყველანაირ ხერხს მიმართავდნენ, რომ ასეთი გაუსაძლისი ყოფა შეემსუბუქებინათ. თუმცა რეალურად მოხდა ისე, რომ საქართველო გახდა მსხვერპლი და ერთ-ერთი მთავარი ობიექტი ამ სამი სახელმწიფოს ინტერესებისა, რაც, ვფიქრობთ, მეტისმეტად აფერხებდა ქართული საზოგადოების განვითარებას.

ალექსანდრე ნურალიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
სადოქტორო პროგრამა:
ისტორია (რუსეთისმცოდნეობა)

ნიკოლაი ცილოვის ცნობები კავკასიური ომის შესახებ

საკვანძო სიტყვები: ნიკოლაი ცილოვი, ალექსეი პიოტრის ძე ერმოლოვი, მთიელები, მთავარმართებელი

ნიკოლაი ივანეს ძე ცილოვი (1799-1879) იყო რუსი მწერალი, გენერალ-მაიორი, ვილენსკის ქალაქისთავი, რუსული გეოგრაფიული საზოგადოების წევრი. 1878 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოაქვეყნა ნაშრომი „ეტიუდები ა. პ. ერმოლოვის საბრძოლო ცხოვრებიდან კავკასიაში 1818-1820 წლებში“.

კადეტთა პირველ კორპუსში სწავლის დასრულების შემდეგ, 1817 წელს, ნ. ცილოვი პრაპორშჩიკის ჩინით გაიგზავნა კავკასიაში, გეორგიევსკში, მე-19 საარტილერიო ბრიგადის 37-ე მსუბუქ ასეულში. 1818 წელს მონაწილეობა მიიღო მთიელების წინააღმდეგ ბრძოლაში და დაჯილდოვდა წმ. ანას IV ხარისხის ორდენით, წარწერით — „მამაცობისთვის“.

რუსეთის არმიის ოფიცრის მოგონებები საინტერესო და მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა კავკასიური ომების ისტორიის შესასწავლად. ის აღფრთოვანებით საუბრობს მთავარმართებელ ალექსეი პიოტრის ძე ერმოლოვზე, რომელიც ენერგიულად შეუდგა ჩრდილოკავკასიელების წინააღმდეგ ბრძოლას და რეგიონის დაპყრობას. აღნიშნავს, რომ ა. ერმოლოვი 1818 წლის მარტში გეორგიევსკში ჩავიდა და პირველი შეხვედრისთანავე ნ. ცილოვმა მას ანგარიში ჩააბარა. ამის შემდეგ ის მთავარმართებელს უშუალოდ ექვემდებარება და მის სამსახურებრივ დავალებებს ასრულებს.

ნ. ცილოვის მოგონებებიდან ნათელი ხდება რიგითი რუსი ჯარისკაცების კეთილგანწყობილი დამოკიდებულება მთავარმართებლისადმი, რომელიც მუდამ ცდილობდა თავისი ხელქვეითების მძიმე ყოფის შემსუბუქებას. ის აგრეთვე იხსენებს ალექსეი პიოტრის ძე ერმოლოვის იშვიათ გულმოწყალებას მთიელთა ერთ-ერთი ლიდერის, ამულათ-ბეკის, მიმართ.

ოფიცრის მოგონებებიდან ვიგებთ ციხე-სიმაგრე გროზნოს მშენებლობის დაწყებაზე. ის კავკასიის ხაზის თავდაცვითი ციხე-სიმაგრე უნდა ყოფილიყო. ნ. ცილოვი აღწერს სიმაგრის მშენებლობის სირთულეებს მთიელთა რეგულარული თავდასხმების გამო.

ნაშრომის დიდი ნაწილი ეხება რუსეთის ჯარის მიერ წარმოებულ სამხედრო მოქმედებებს. ჩანაწერებიდან ვიგებთ, თუ რა სასტიკი მეთოდებით მიმდინარეობდა მთიელთა წინააღმდეგ ომი.

ნიკოლაი ცილოვის ნაშრომში საინტერესოაა აღწერილი მთავარმართებელ ალექსეი პიოტრის ძე ერმოლოვის მოღვაწეობის საგულისხმო მომენტები; დიდი ადგილი ეთმობა რუსეთის ჯარის ოფიცრებისა და ხელქვეითების ურთიერთობას, მათი ყოფის ამსახველ ეპიზოდებს როგორც მშვიდობიანობის დროს, ასევე — საომარ პირობებში. ავტორი ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე კავკასიელთა სიმამაცესა და თავგანწირულ ბრძოლაზე რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ნიკოლოზ ოვსიანიკოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საბაკალავრო პროგრამა: თურქოლოგია

თანამედროვე ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობები

საკვანძო სიტყვები: სადაო ეკლესიები, ისტორიული ლორე, ჩრდილო სომხეთის ქართული მემკვიდრეობა, აფხაზეთის სომხური ეკლესია, ჯავახეთის ეპარქია

თანამედროვე ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობების გადაუჭრელ საკითხად კვლავ რჩება საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიებზე არსებული სადავო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

დღეისათვის ქართულ-სომხურ საეკლესიო ურთიერთობებში შესაძლებელია გამოიყოს სამი ძირითადი პრობლემა:

1. *საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ე. წ. „სადავო ძეგლები“* (თბილისში — მოღნისის წმ. გიორგი, ნორაშენი, სურბ მინასი, შამქორელთა ღმრთისმშობელი; ახალციხეში — სურბ ნშანი). სომხურმა მხარემ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რამდენჯერმე დასვა დასახელებული ეკლესიების სომხური წარმომავლობისა და მათი სომხური სამოციქულო ეკლესიისათვის დაბრუნების საკითხი. ქართული მხარე კი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ეკლესიები ქართული წარმომავლობისაა და ისინი უნდა ეკუთვნოდეს ქართულ ეკლესიას.

2. *სომხეთის (ჩრდილოეთ სომხეთი, ისტორიული ლორე) ტერიტორიაზე არსებული ქართული, ქალკედონური, მართლმადიდებლური ძეგლები* (ჰნევეანქი, ახტალა, ქობაირი, აქორი, კირანცი, შახნაზარი, კოში, ლერნანქი, თეჟარუიქი, ბარანა, ვანან-ვანქი, კურტანი, ლორე). ქართულ მხარეს ისინი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშად მიაჩნია. სომხური მხარე კი მათ სომხურ ქალკედონურ ძეგლებად თვლის, ვინაიდან მათი პოზიციით, ისინი ააშენა „ეთნიკურად სომეხმა, მაგრამ მრწამსით მართლმადიდებელმა“. სომეხ მეცნიერთა წრეში გაჩნდა მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ ეს ძეგლები ერთობლივი ქართულ-სომხური კულტურის ნიმუშად იქნას აღიარებული.

3. *თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლები (იშხანი და ოშკი)*. სომხურ მხარეს ეს ძეგლები სომხურ ქალკედონურ ძეგლებად მიაჩნია, ის ბრალს სდებს

საქართველოს ამ ძეგლების მითვისებაში, თურქეთს კი — მათი საქართველოსათვის უკანონოდ მიკუთვნებაში.

ქართულ-სომხური ორმხრივი მოლაპარაკებების შემდეგ შეთანხმდნენ, რომ „სადავო ეკლესიების“ კუთვნილების განსაზღვრამდე, კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის მიზნით, პირველ ეტაპზე ჩატარდეს ერთობლივი სარესტავრაციო სამუშაოები, შეიქმნა ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, შეთანხმდნენ ხუთ-ხუთი ძეგლზე სარესტავრაციო პროექტების ურთიერთგაცვლაზე.

სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული მართლმადიდებლური ძეგლების კუთვნილების საკითხს საფრთხე შეიძლება შეუქმნას 2021 წლის 15 ოქტომბერს სომხეთის რესპუბლიკაში რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ერევნისა და სომხეთის ეპარქიის შექმნამ. არსებობს იმის საშიშროება, რომ სომხეთში არსებული ქართული ძეგლები რუსული ეპარქიის იურისდიქციაში გადავიდეს.

საეკლესიო თემატიკა უკავშირდება საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სტაბილურობის საკითხებს (აფხაზეთში სომხური სამოციქულო ეკლესიის დაქვემდებარება სამხრეთ რუსეთის სომხურ ეპარქიაზე და ჯავახეთის ცალკე ეპარქიის შექმნის მოთხოვნა).

აფხაზეთში სომხური ეკლესიის დაქვემდებარება სამხრეთ რუსეთის სომხურ ეპარქიაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაა. აფხაზეთის სომხური ეკლესია საქართველოს სომხურ ეპარქიას უნდა ექვემდებარებოდეს.

საქართველოში არსებული სომხური სამოციქულო ეკლესიის ერთი ეპარქიის გარდა დამატებით კიდევ მეორე — ჯავახეთის ეპარქიის შექმნა სერიოზულ საფრთხესთან შეიძლება იყოს დაკავშირებული იმ კუთხით, რომ სომხურ საზოგადოებაში ეს შესაძლოა აღქმულ იქნას, როგორც ჯავახეთის „ავტონომიისკენ“ გადადგმული ერთგვარი ნაბიჯი.

გიორგი ომსარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
სადოქტორო პროგრამა:
ისტორია (კავკასიოლოგია)

კავკასიური ისლამისტური მოძრაობის თეორიული საფუძვლები

საკვანძო სიტყვები: კავკასია, ისლამიზმი, ფუნდამენტალიზმი

კავკასიაში ისლამური ფუნდამენტალიზმის ზომიერი და რადიკალური მიმდინარეობების გავლენისა და გავრცელების ეტაპების შესასწავლად აუცილებელია აღნიშნული რელიგიური მიდგომების თეორიული საფუძვლების შესწავლა და გაანალიზება.

XX საუკუნის 90-იან წლებში კავკასიის რეგიონში ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების საფუძველს აქტიური პროზელიტიზმი წარმოადგენდა. უცხოელი მისიონერები ახდენდნენ არაბულენოვანი რელიგიური ლიტერატურის იმპროტა და რუსულ ენაზე თარგმნას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა XVIII საუკუნის რელიგიური მოღვაწის, ისლამის განწმენდისა და მის საფუძვლებთან დაბრუნების აპოლოგეტის, მუჰამედ იბნ აბდ ალ-ვაჰაბის, ნაშრომს „ერთდემერთიანობის წიგნი“. ნაშრომი ისლამური ფუნდამენტალიზმის მიმდევართათვის, ასევე ისლამისტთა ზომიერი და რადიკალური ფრთის წარმომადგენელთათვის ერთ-ერთი უმთავრესი თეორიული სახელმძღვანელოა. აღნიშნულ ავტორს უკავშირდება რფ-ის ძალოვანი უწყებების მიერ ფუნდამენტალისტებისა და ისლამისტების დასახასიათებლად ტერმინ „ვაჰაბისტის“ გამოყენება.

ჩრდილოკავკასიელი ისლამისტების მიერ 2000-იან წლებში ინტერნეტრესურსების საშუალებით წარმოებული მედიააქტივობების შემადგენელ ნაწილად იქცა აღმოსავლელი იდეოლოგიების ნაშრომების განთავსება მათ მიერ მართულ საიტებზე. აღნიშნული რესურსებით ვრცელდებოდა XX საუკუნის შუა წლების პოსტკოლონიალური ეპოქის ეგვიპტელი იდეოლოგის, საიდ კუტბის, გლობალური ჯიჰადის იდეოლოგიისა და ოსამა ბინ ლადენის მასწავლებლის, აბდულა იუსუფ აზამის — „აბუ ჯიჰადის“ — და სხვათა ნაშრომები.

მოგვიანებით კავკასიურ ისლამისტურ ინტერნეტრესურსებზე გამოჩნდა ადგილობრივი იდეოლოგიების ნაშრომები, ვიდეო- და აუდიოლექციები. კავკასიური

ისლამიზმის აპოლოგეტები ცდილობდნენ რუსეთის წინააღმდეგ ჩრდილოკავკასიელი ხალხების ბრძოლის რელიგიური შემადგენელის, ისტორიული მნიშვნელობისა და სამომავლო პერსპექტივების ჩვენებას.

წყაროები:

1. ერთდმერთიანობის წიგნი, მუჰამედ იბნ აბდ ალ-ვაჰაბი;
2. Milestones, Sayyid Qutb;
3. In the Shade of the Qur'an, Sayyid Qutb.

მაკა როინიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
სამაგისტრო პროგრამა: კავკასიოლოგია

თანხმოვანთა სისტემა ბურუშაულ ენაში

საკვანძო სიტყვები: თანხმოვანთა სისტემა, ბურუშაული ენა

თანამედროვე ბურუშაული ენა გავრცელებულია ცენტრალური აზიის, პაკისტანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ის იზოლირებულ ენად არის მიჩნეული. მიუხედავად ამისა, გამოთქმულია არაერთი ვარაუდი მისი შესაძლო ნათესაობის შესახებ პალეოკავკასიურ ენებთან. სტრუქტურულ მსგავსებებს კავკასიურ ენებთან ის იჩენს როგორც ფონოლოგიაში, ისე — მორფოლოგიასა და მორფოსინტაქსში.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი გულისხმობს როგორც ლექსიკურ ერთეულებს შორის რეგულარულ, კანონზომიერ და სისტემურ ბგერათშესატყვისობათა დადგენას, ასევე ენების ყველა იერარქიული დონის შედარება-შეპირისპირებას მათ შორის სისტემურ-სტრუქტურული მსგავსების გამოსავლენად.

მოხსენებაში საუბარი გვექნება ბურუშაული ენის თანხმოვანთა სისტემის, როგორც მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იერარქიული დონის შემადგენელი ნაწილის, შესახებ.

მოხსენება ატარებს დესკრიფციულ ხასიათს.

ლიტერატურა:

1. A Reference Grammar of Eastern Burushaski; Yoshioka Noboru, 2012;
2. Jammu and Kashmir Burushaski: Language, Language, Contact, and Change, Sadaf Munshi, 2006;
3. Die Burushaski-Sprache von Hunza und Nager, T. I, 1998;
4. Burushaski and the Western Dene-Caucasian Language Family: Genetic and Cultural Linguistic Lings, John D. Bengston, 2014.

ქეთევან საყვეარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
კავკასიოლოგიის ბაკალავრი

იბერიული ენები და მათი მნიშვნელობა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისათვის

საკვანძო სიტყვები: იბერიული ენები, ბასკური ენა, ბასკურ-იბერიულ-კავკასიური ჰიპოთეზა, იბერიული ენა, ტარტესული ენა, აქვიტანური ენა

იბერიულ-კავკასიური ენების მკვლევართა ყურადღება სხვადასხვა დროს მიექცა არა მხოლოდ უშუალოდ ჩვენს რეგიონში გავრცელებულ ენებს, არამედ მის ფარგლებს გარეთ წარმოდგენილ იმ ენებსაც, რომლებიც, შესაძლოა, გენეტიკურად იყვნენ დაკავშირებულნი ამ ოჯახთან (ჰ. შუხარდტი, ვ. ჰუმბოლდტი, ნ. მარი, არნ. ჩიქობავა...). უპირველესად აქ იგულისხმება ბასკური — ევროპის დასავლეთით, პირენეის (იბერიის) ნახევარკუნძულზე, რომელიც თავისი გავრცელების არეალში დღეს განცალკევებით დგას სხვა ენათაგან, არ ამჟღავნებს რა მათთან წარმოშობით კავშირს.

იბერიულ-კავკასიური ენებისა და ბასკურის ნათესაობის მეცნიერულად არგუმენტირებულმა თეორიამ (ი. ბრაუნი, მ. ქურდიანი...) უფრო მეტად წარმოაჩინა ჩვენში საერთოდ იბერიული ენების შესწავლის საჭიროება.

„იბერიული ენები“ ფართო ცნებაა და გეოგრაფიული ნიშნით აერთიანებს იბერიის ნახევარკუნძულზე სხვადასხვა პერიოდში გავრცელებულ, სხვადასხვა წარმოშობის ენებს. მათი ისტორიული და თანამედროვე კონტაქტების შესწავლა საშუალებას მოგვცემს, განვასხვაოთ ბასკურში საკუთარი და ენობრივი კონტაქტების შედეგად მიღებული მოვლენები. ეს, ცხადია, ერთ-ერთი უმთავრესი სამუშაოა იბერიულ-კავკასიური და ბასკური ენების, ბასკურისა და წინარე რომანული მკვდარი იბერიული ენების (აქვიტანური, იბერიული, ტარტესული) გენეტიკური მიმართების დადგენისას; ამ პრობლემის გადაჭრა კი შესაძლებელია მხოლოდ საკუთარი ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე.

აღნიშნული საკითხი, რა თქმა უნდა, აქტუალურია არა მხოლოდ ჩვენს რეგიონში. მაგალითისთვის ავიღოთ ამა წლის მაისში ბასკეთის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ბასკური ენის ნახევარსაუკუნოვანი სწავლების განმავლობაში მრავალი ასეთი

მნიშვნელოვანი ღონისძიება გამართულა. ეს წარმოაჩენს ბასკურ-კავკასიური პრობლემისადმი საერთაშორისო ინტერესსა და მისი გადაჭრის აუცილებლობას.

მოხსენებაში განვიხილავთ იბერიულ-კავკასიურ ენებთან იბერიის ნახევარკუნძულის არაინდოევროპულ და არააფრაზიულ ენათა მიმართების კონკრეტულ ლინგვისტურ საკითხებს, ასევე იმ ტერმინოლოგიურ პრობლემებს, რომლებმაც შეიძლება იჩინოს თავი აღნიშნულ ენათა შესწავლის დროს.

სოფიკო ჭავჭავაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ფილოლოგიის დოქტორი

კავკასიური ენების კათედრის მუშაობა და კავკასიოლოგიური კვლევები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1935 წლის საარქივო მასალების მიხედვით)

საკვანძო სიტყვები: კავკასიური ენების კათედრა, ქეთევან ლომთათიძე, საარქივო მასალები

